შემოსავლების
სამსახური

აუდიტის დეპარტამენტი

ბრძანება N 16906

22/04/2013

შპს "მანავის ღვინის მარანის" (ს/ნ 212272976) საქმიანობის
კამერალური საგადასახადო შემოწმების შესახებ
საქართველოს საგადასახადო კოდექსის 263-ე მუხლის საფუძველზე
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაინიშნოს **შპს "მანავის ღვინის მარანის" (ს/ნ 212272976)** საქმიანობის კამერალური საგადასახადო შემოწმება ბიუჯეტთან ანგარიშწორების კუთხით;
2. შემოწმდეს **შპს "მანავის ღვინის მარანის" (ს/ნ 212272976)** 2007 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 აპრილამდე საანგარიშო პერიოდი;
3. შემოწმების ვადა განისაზღვროს 2013 წლის 23 აპრილიდან 23 მაისის ჩათვლით;
4. შემოწმება დაევალოს აუდიტის დეპარტამენტის შემოწმების მთავარი სამმართველოს **გასვლითი** საგადასახადო შემოწმების მე-5 სამმართველოს მთავარ აუდიტორს როლანდ აბაზაძეს და უფროს აუდიტორს დავით სილაგაძეს;
5. **შპს "მანავის ღვინის მარანის" (ს/ნ 212272976)** სსკ-ის 51-ე მუხლის შესაბამისად გადაეცეს გადასახადის გადამხდელის უფლება-მოვალეობების განმარტებითი ბარათი;
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს შემოწმების მთავარი სამმართველოს **გასვლითი** საგადასახადო შემოწმების მე-5 სამმართველოს უფროსს ნუკრი შეყილაძეს.

ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის XIV კარის მოთხოვნათა შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან/და თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

საფუძველი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს 2013 წლის 3 აპრილის №15-04-05/120 წერილი (შემ. №51429-21-14 03,04,13)

დიმიტრი გაგუა

დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი